# საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის

## ბრძანება №10

**2024 წლის 23 იანვარი**

**ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის № 4 ბრძანებით დამტკიცებული მეტროლოგიის ინსტიტუტის დებულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 73-ე მუხლის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №1-1/1570 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების, სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის № 4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დებულების“ მე-7 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

განხორციელდეს ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის № 4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.დ“ ქვეპუნქტი:

„ე.დ) წნევის გაზომვების ლაბორატორია“.

**მუხლი 2**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 3 ოქტომბრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დებულების“ სხვა მუხლები და პუნქტები დარჩეს უცვლელი.

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს სტანდარტებისა და**
**მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს** **დავით ტყემალაძე**
**გენერალური დირექტორი**